



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
7 მაისი, 2018

ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2018 წლის მარტში რეალური მშპ 5.6%-ით გაიზარდა წინა თვის 5.5%-იანი ზრდის შემდეგ. მარტში, ზრდა აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა, დამამუშავებელი მრეწველობა, ტრანსპორტი, უძრავი ქონების ოპერაციები და ვაჭრობა. ჯამურად, 2018 წლის პირველ კვარტალში მშპ-ს რეალურმა ზრდამ 5.2% შეადგინა. რეალური მშპ-ის ყოველთვიური მაჩვენებელი იანგარიშება დღგ-ის ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების საფუძველზე.

ტურიზმი: მსს-ს ინფორმაციით, 2018 წლის აპრილში საქართველოში შემოსული ვიზიტორების რაოდენობა, წინა წლის აპრილთან შედარებით 16.8%-ით გაიზარდა და 0.60 მლნ ვიზიტორი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ტურისტების რიცხვი 24.9%-ით გაიზარდა და მთლიანი ვიზიტორების 46.6% შეადგინა. აპრილში ვიზიტორების რაოდენობა გაიზარდა შემდეგი ძირითადი ქვეყნებიდან: აზერბაიჯანი (+10.4%), თურქეთი (+29.2%), რუსეთი (+43.4%) და ირანი (+98.5%), ხოლო კლება დაფიქსირდა სომხეთიდან (-6.9%). ასევე, ზრდა დაფიქსირდა ევროკავშირის ქვეყნებიდან (+17.9%). ჯამურად, 2018 წლის პირველ ოთხ თვეში, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 15.9%-ით გაიზარდა და 2.06 მლნ შეადგინა, ხოლო ტურისტების ზრდა 27.3% იყო და 0.94 მლნ ადამიანს მიაღწია.

ინფლაცია: საქსტატის მონაცემებით, 2018 წლის აპრილში წლიურმა ინფლაციამ 2.5%, ხოლო საბაზო ინფლაციამ 1.8% შეადგინა. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებში: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (+2.1%), ტრანსპორტი (+2.9%) და ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო (+5.6%). 2018 წლის აპრილში წინა თვესთან შედარებით ფასები 0.2%-ით შემცირდა. თვის დეფლაციის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ სურსათი და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში (-0.4%).


მონეტარული პოლიტიკა: მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2018 წლის 1 მაისს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის, უცვლელად, 7.25%-ის დონეზე დატოვების შესახებ. სებ-ის მიხედვით, 2018 წლის დასაწყისიდან ინფლაციის მაჩვენებელმა იკლო და მარტში 2.8%-ს მიაღწია, რადგან ინფლაციაზე მოქმედი ერთჯერადი ფაქტორები ამოიწურა. თუმცა, საერთაშორისო ბაზრებზე არსებული რყევების გამო, სებ-მა თავის გადაწყვეტილებაში გაითვალისწინა ინფლაციური ზეწოლის რისკის გადმოცემა ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან, რის გამოც განაკვეთი უცვლელი დარჩა. კომიტეტის შემდგომი სხდომა 2018 წლის 13 ივნისს გაიმართება.

| ეკონომიკური ინდიკატორები | | | |
|--|---------------------|--------|--------|
| | 4M18 | 2017 | 2016 |
| მშპ (%-ლი ცვლილება) | 5.2% ⁽¹⁾ | 5.0% | 2.8% |
| მშპ ერთ სულზე (ppp) | ... | 10,644 | 10,043 |
| მშპ ერთ სულზე (აშშ \$) | ... | 4,079 | 3,865 |
| მოსახლეობა (მლნ) | 3.7 | 3.7 | 3.7 |
| ინფლაცია, პერიოდის ბოლო | 2.5% | 6.7% | 1.8% |
| მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$) | 3.0 ⁽¹⁾ | 3.0 | 2.8 |
| მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %) | ... | 8.7 | 12.8% |
| ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %) | ... | 3.9% | 4.1% |
| სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %) | ... | 44.7% | 44.4% |

წყარო: ოფიციალური მონაცემები

1)2018 წლის პირველი კვარტლისთვის მდგომარეობით

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2017-18

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №9 (საუკეთესო 10-უული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №16 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №67


წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

| | | |
|--|---|--|
| BB- სტაბილური დადასტურებული მაისი-2017 | Ba2 სტაბილური დადასტურებული სექტემბერი-2017 | BB- პოზიტიური დადასტურებული მარტი-2018 |
|--|---|--|


წყარო: სარეიტინგო სააგენტოები

წლიური ინფლაცია



წყარო: საქსტატი

თვის ინფლაცია






ფულადი ბაზარი

რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 990.0 მლნ ლარის (403.0 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა.


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2018 წლის 2 მაისს 1-წლიანი 40 მლნ ლარის (16.3 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ობლიგაციები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 7.313% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2018 წლის 8 მაისს, სადაც 2-წლიანი 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ობლიგაციები და 182-დღიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ
შენიშვნა: ბოლო აუქციონის მონაცემი.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




წყარო: სეზ

სადავოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)



წყარო: სეზ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გაზარდვას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ვერობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ვერობლიგაცია (BGEOLN) დაიხურა 5.8%-იანი შემოსავლიანობით, ფასით - 100.8 (-0.1% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს ბანკის ლარში დენომინირებული ვერობლიგაცია GEBGG 06/20-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 100.5 (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით), 10.7%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს კაპიტალის ვერობლიგაციები GEOCAP 03/24-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 95.3 (-0.2% წინა კვირასთან შედარებით), 7.1%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ვერობლიგაციები GEOROG 04/21-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 102.4 (-0.8% წინა კვირასთან შედარებით), 5.9%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 106.6 ფასად (-1.1% წინა კვირასთან შედარებით), 5.7%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით - 106.6 (-1.1% წინა კვირასთან შედარებით), 4.4%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა %)



წყარო: ბლუმბერგი


| | Local bonds | | | | Eurobonds | | | | | |
|----------------------|-------------|------------|--------------|-----------|--------------|-------------|--------------|--------------|-------------|-------------|
| | GWP 12/21 | M2RE 10/19 | Nikora 06/19 | GLC 08/20 | GEOCAP 03/24 | GEBGG 06/20 | GEOROG 04/21 | BGEOLN 07/23 | GEORG 04/21 | GRAIL 07/22 |
| მოცულობა მლნ აშშ \$ | 30* | 25.0 | 10.0 | 10.0 | 300 | 500* | 250 | 350 | 500 | 500 |
| გამოშვების თარიღი | 12/16 | 10/16 | 08/17 | 8/17 | 03-18 | 06-17 | 04/16 | 07/16 | 04/11 | 07/12 |
| დაფარვის თარიღი | 12/21 | 10/19 | 06/19 | 8/20 | 03-24 | 06-20 | 04/21 | 07/23 | 04/21 | 07/22 |
| კუპონი, % | 10.50* | 7.5 | 9.0 | 7.00 | 6.125% | 11.0 | 6.750 | 6.000 | 6.875 | 7.750 |
| Fitch/S&P/Moody's | BB-/B2 | -/- | -/- | n/a | -/B2e | BB-/Ba2 | BB-/B+ | BB-/B1 | BB-/BB-/Ba2 | B+/B+ |
| საშუალო ფასი, აშშ \$ | n/a | 102.8 | 101.3 | 101.07 | 95.3 | 100.5 | 102.4 | 100.8 | 106.6 | 107.6 |
| საშუალო პროცენტი % | n/a | 5.5% | 3.8% | 6.50% | 7.1 | 10.7 | 5.9 | 5.8 | 4.4 | 5.7 |
| Z-spread, bps | n/a | n/a | n/a | n/a | 419.2 | 346.1 | 302.9 | 289.5 | 158.8 | 279.7 |

წყარო: ბლუმბერგი

*GWP 12/21 და GEBGG 06/20 მოცემულია ლარში

** მცურავი განაკვეთი (სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 3.5%)

Georgian Eurobond universe



წყარო: ბლუმბერგი

აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ვერობლიგაციების ძირითადი მონაცემები

| ქვეყანა | მოცულობა, მლნ აშშ \$ | კუპონი, % | დაფარვის თარიღი | რეიტინგები (Fitch/S&P/Moody's) | საშუალო ფასი, აშშ \$ | საშუალო პროცენტი, % | Z-spread, bps |
|-------------|----------------------|-----------|-----------------|--------------------------------|----------------------|---------------------|---------------|
| საქართველო | 500 | 6.875% | 12/04/2021 | BB-/BB-/Ba2 | 106.6 | 4.4 | 158.8 |
| აზერბაიჯანი | 1,250 | 4.750% | 18/03/2024 | BB+/BB+/Ba2 | 97.6 | 5.2 | 229.8 |
| ბულგარეთი | 323 | 5.000% | 19/07/2021 | BBB-/BB-/Baa2 | 115.8 | 0.0 | -31.2 |
| ხორვატია | 1,250 | 3.875% | 30/05/2022 | BB-/BB-/Ba2 | 111.2 | 1.0 | 84.2 |
| უნგრეთი | 3,000 | 6.375% | 29/03/2021 | BBB-/BBB-/Baa3 | 107.5 | 3.6 | 79.5 |
| რუმინეთი | 2,250 | 6.750% | 07/02/2022 | BBB-/BBB-/Baa3 | 109.4 | 4.0 | 112.6 |
| რუსეთი | 3,500 | 5.000% | 29/04/2020 | BBB-/BBB-/Ba1 | 102.1 | 3.9 | 110.4 |
| თურქეთი | 2,000 | 5.625% | 30/03/2021 | BB+/BB-/Ba2 | 102.1 | 4.8 | 200.5 |

წყარო: ბლუმბერგი




აქციები

BGEO ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 33.16 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -4.77% წინა კვირასთან შედარებით და -6.38% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 308 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 33.14 – 35.12 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 59 ათასი აქცია შეადგინა. FTSE 250 ინდექსი, რომელშიც BGEO შედის, წინა კვირასთან მოიმატა 0.74%-ით ხოლო წინა თვესთან მოიმატა 6.01%-ით. ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.78% შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 17.46 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (-3.85% წინა კვირასთან შედარებით და -3.00% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 83 ათასს გადააჭარბა, GBP 17.06 – 18.50 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 27 ათასი აქცია შეადგინა.


საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 2.79 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (-0.36% წინა კვირასთან შედარებით და -8.52% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 31 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 2.77 – 2.90 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 11 ათასი აქცია შეადგინა. მოცემულ კვირაში ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.02% შეადგინა.

BGEO ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: ბლუმბერგი

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: ბლუმბერგი

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)



წყარო: ბლუმბერგი

| აღმოსავლეთ ევროპის ბანკები | | | | | | | | |
|----------------------------|---------------------|---------------------------|------------|------------|------------|--------------------|----------|--|
| კოდი | აქციის ფასი, აშშ \$ | კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$ | 1თვე, ცვლ. | 3თვე, ცვლ. | 6თვე, ცვლ. | წლის დას-დან, ცვლ. | წ/წ ცვლ. | |
| BGEO | BGEO 33.16* | 1,767 | -6.4% | -6.8% | -7.7% | -6.8% | -8.9% | |
| TBC | TBC 17.46* | 1,280 | -3.0% | 8.4% | 0.3% | -0.2% | 6.5% | |
| Halyk Bank | HSBK 13.10 | 3,601 | -3.7% | 3.1% | 35.1% | 32.6% | 73.1% | |
| KKB | KKB 0.68 | 712 | 0.0% | 0.0% | 0.0% | 0.0% | -36.4% | |
| VTB Bank | VTBR 1.84 | 11,911 | -6.9% | -1.6% | -10.3% | 0.4% | -19.5% | |
| Vozrozhdenie Bank | VZRZ 5.22 | 124 | -26.2% | -40.6% | -49.3% | -40.0% | -59.0% | |
| Sberbank | SBER 14.76 | 79,656 | -20.3% | -23.0% | 4.4% | -12.8% | 26.1% | |

*BGEO და TBC აქციების ფასი მოცემულია ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში

ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები

| კოდი | აქციის ფასი, აშშ \$ | კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$ | 1თვე, ცვლ. | 3თვე, ცვლ. | 6თვე, ცვლ. | წლის დას-დან, ცვლ. | წ/წ ცვლ. |
|---------------|---------------------|---------------------------|------------|------------|------------|--------------------|----------|
| GHG* | GHG 2.79* | 497 | -8.5% | -17.9% | -20.5% | -21.4% | -22.9% |
| Mouwasat | MOUWASAT 47.53 | 2,376 | -0.6% | 3.6% | 11.8% | 17.7% | 23.2% |
| Fortis | FORH 2.36 | 1,226 | 19.5% | 27.8% | 7.1% | -6.0% | -30.1% |
| Raffles | RFMD 0.84 | 1,488 | -1.6% | -0.2% | 0.5% | 0.2% | -15.4% |
| IHH | IHH 1.53 | 12,585 | 0.3% | -0.3% | 15.6% | 5.9% | 6.8% |
| Bangkok Chain | BCH 0.54 | 1,359 | 0.7% | 4.8% | 9.6% | 9.6% | 43.0% |
| Netcare | NTC 2.43 | 3,578 | 4.1% | 15.4% | 38.5% | 19.9% | 22.8% |

*GHG აქციის ფასი მოცემულია ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს ბიჯუი ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოთხოვრებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზარაბული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგო უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განქორციელება დადგენილი ვადებიდან რაიმე ვადით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge